საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/25 “ 23 ” მარტი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 7 მარტს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში თანამდებობაზე დაინიშნენ ახალი მოსამართლეები, შესაბამისად ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაცია საჭიროებს ახალ რეგულაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/44 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) ნინო ჯოჯუა;“;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გურჯაანის რაიონული სასამართლო:

ა) სისხლის სამართლის სპეციალიზაცია:

ა.ა) ნანა ჩალათაშვილი;

ბ) სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია:

ბ.ა) გიორგი მთიულიშვილი.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი